

კოვიდ 19 - საფინანსო პოლიტიკის ამოცანები და პრიორიტეტები

მიხეივ ჩიკვიდაძე

აკადემიური დოქტორი, ასოციირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიუხედავად კოვიდ-19 პანდემიის ეკონომიკური გავლენის შესამსუბუქებლად, საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული მხავადმხივი ფისკალური დახმავების ღონისძიებებისა, დახის კუხის ვახდნამ, ინფლაციამ, ინვესტიციების შემცირებამ და საშინაო ვადის ზღვამ ეკონომიკის დაცემა გამოიწვია და კიდევ უფრო გაამძაფრა დახის კუხის ინფლაციის, ინვესტიციებისა და სახელმწიფო ვადის პრობლემები, ხოლო ეკონომიკის ცავეუდ სექტორებში ახლებული დადებითი ტენდენციები საერთოდ შეწყდა. აღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, საქ. მთავრობამ კონკრეტული ღონისძიებები უნდა დასახოს, რომელთა სათანადო დაფინანსებამ 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში შესაბამისი ასახვა უნდა ჰპოვოს.

საკვანძო სიგყვები: ბიუჯეტი, პანდემია, გადასახადები, ინფლაცია, ინვესტიცია.

2020 წელს ახალი კორონავირუსის გავრცელებამ მნიშვნელოვანი რყევები გამოიწვია გლობალურ ეკონომიკაში, შედეგად, პანდემიას ეკონომიკური რეცესია მოჰყვა საქართველოშიც 2021 წლის დასაწყისში საქართველოში ლარის კურსის დაცემა, ინფლაცია ინვესტიციების შემცირება და სახელმწიფო ვადის ზრდა სახეზეა, ამასთან ერთად პანდემიამ ეკონომიკის კლება გამოიწვია და კიდევ უფრო გაამძაფრა ლარის კურსის, ინფლაციის, ინვესტიციებისა და სახელმწიფო ვადის პრობლემები, საგულისხმოა ისიც, რომ ექსპორტისა და ტურიზმის დადებითი ტენდენციები თითქმის შეწყდა, 2020 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 14.6 %-ით შემცირდა და 3.0 მლრდ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 16 %-ით შემცირდა და 7,2 მლრდ დოლარით განისაზღვრა. იმპორტის შემცირება ძირითადად მსუბუქი ავტომობილების (326.0 მლნ დოლარი) და ნავთობპროდუქტების (235.0 მლნ დოლარი) შემოტანის კლებამ განაპირობა, ქვეყნების მიხედვით იმპორტი ყველაზე მეტად თურქეთიდან (194 მლნ დოლარი), ჩინეთიდან (140 მლნ დოლარი) და აშშ-დან (119 მლნ დოლარი) შემცირდა.

2020 წელს საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პირველი სამი კვარტალის (იანვარი-სექტემბერი) სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში 719.0 მლნ დოლარის ინვესტიცია შემოვიდა, რაც 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 24 %-ით ნაკლებია, ჯამში 9 თვის მიხედვით 227.0 მლნ დოლარით ნაკლები ინვესტიცია განხორციელდა. 2020 წლის ცხრა თვეში ყველაზე მეტი პირდაპირი ინვესტიციები საფინანსო სექტორში შემოვიდა, (302.0 მლნ დოლარი), ხოლო სამთომომპოვებელ მრეწველობაში 69.0 მლნ დოლარი, ყველაზე მცირე ინვესტიცია ტრანსპორტისა და ჯანდაცვის სფეროში განხორციელდა (შესაბამისად, 4.0 მლნ და 7.0 მლნ დოლარი) ინვესტიციების ყველაზე დიდი კლება ენერჯეტიკაში (162.0 მლნ დოლარი) სასტუმროებსა და რესტორნების ბიზნესში (87 მლნ დოლარი) განხორციელდა.

სტატისტიკის მონაცემების ანალიზიდან გამომდინარე ნაკლებ ოპტიმისტურია ის, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2016-2019 წლების საშუალო მაჩვენებელს 1,6 მლრდ დოლარის მოცულობას დაუბრუნდეს, უფრო რეალურად გვესახება 1,3 მლრდ-ის ფარგლებში განისაზღვროს, როგორც ეს პანდემიის წინა წლებში 2018-2019 წლებში იყო. როგორც ირკვევა საქართველოს ეკონომიკა 2020 წელს 6 %-ით შემცირდა, ყველაზე დიდი დარტყმა ტურიზმს მიადგა, ეკონომიკამ „ლოქ დაუნის“ შედეგად 1.0 მლრდ ლარი დაკარგა, აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია ტურიზმის აღდგენა, ვინაიდან, 2019 წელს საქართველოში 9,4 მლნ ვიზიტორი შემოვიდა, ამ მაჩვენებელს საქართველო 2021 წელს ვერ დაუბრუნდება, ამასთან იმის განსაზღვრა, თუ რამდენი ვიზიტორი შემოვა რთული საპროგნოზოა, რადგან ეს მხოლოდ საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე არაა დამოკიდებული.

პანდემიის გამო ივნისში 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შეიცვალა, ცვლილების შედეგად შემოსულობები 3,9 მლრდ ლარით გაიზარდა და 18,4 მლრდ ლარი შეადგინა, შემოსულობების ზრდა მთავრობის მიერ მაღალი ვალის აღებამ განაპირობა. 2020 წლის ბიუჯეტის დეფიციტი 4.3 მლრდ ლარია, რაც მოსალოდნელი მშპ-ის მიმართ 8.4 %-ია, ცვლილებებამდე 2020 წლის ბიუჯეტში ანალოგიური მაჩვენებელი მშპ-ის 3.2 %-ზე იყო დაგეგმილი 2020 წლის 11 თვეში (იანვარ-ნოემბერი) სახელმწიფო ვალი 9.5 მლრდ ლარით გაიზარდა და ნოემბრის მონაცემებით 30.2 მლრდ ლარი შეადგინა, სახელმწიფო ვალის ზრდა ახალი 7.0 მლრდ ლარის ვალის აღებამ და ლარის გაუფასურებამ გამოიწვია. 11 თვეში საშინაო სახელმწიფო ვალი მშპ-ს მიმართ 61 %-ია, 2019 წლის ბოლოს სახელმწიფო ვალმა მშპ-ს მიმართ 42 % შეადგინა. ბიუჯეტის გადასახდელები 1.5 მლრდ ლარით გაიზარდა და 15.9 მლრდ ლარი შეადგინა. ხარჯების ზრდა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების, ასევე ბიზნესის სუბსიდირების ზრდამ განაპირობა. 2020 წლის დეკემბრის მონაცემებით სახელმწიფო ბიუჯეტში 17.2 მლრდ ლარის შემოსულობებია მობილიზებული (წლიური გეგმის 93.5 %), ხოლო დახარჯულია 15.2 მლრდ ლარი, წლიური გეგმის 95.6 %. ბიუჯეტის ცვლილებების შედეგად ყველაზე მეტად სამი სამინისტროს ხარჯი გაიზარდა ჯამში, 1.7 მლრდ მათ შორის ლარით ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (1.2 მლრდ ლარი), ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (458.0 მლნ ლარი), გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (128.0 მლნ ლარი).

საქართველოს მთავრობამ განახორციელა მრავალი ფისკალური დახმარების ღონისძიება კოვიდ 19 პანდემიის ეკონომიკური გავლენის შესამსუბუქებლად, კერძოდ, 2020 წელს პანდემიის საპასუხოდ ფიზიკური პირებისა და ბიზნესისათვის განუღმა ფისკალურმა დახმარებამ 1.9 მლრდ ლარი შეადგინა (მშპ-ს 3.8 %), 2021 წლის ფისკალური მხარდაჭერის პაკეტი 1.2 მლრდ ლარი (მშპ-ს 2.3 %-ს) მიაღწევს. 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა დაახლოებით 5 %-ით შემცირდა. 2021 წელს საქ. საბიუჯეტო შემოსავლები დაახლოებით 16.9 მლრდ ლარითაა განსაზღვრული. რაც 2020 წლის ბიუჯეტთან შედარებით 1.6 მლრდ ლარით ნაკლებია, აღნიშნული დაკავშირებულია გასული წლის მთავრობის მიერ 8.0 მლრდ ლარის ოდენობით ვალის აღებასთან. 2021 წლის მაისამდე გაგრძელდა გასული წლის მთავრობის მიერ მიღებული სპეციალური და საგანგებო შეღავათი საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით, კერძოდ იმ ფიზიკურ პირებს, რომლებსაც ხელფასი 1500 ლარზე ნაკლები აქვთ 750 ლარი დაუბეგრავი მინიმუმი განესაზღვრათ, მიმდინარე წელს გადასახადების 2.5 მლრდ ლარით გაზრდაა დაგეგმილი, შედეგად ბიუჯეტში გადასახადების წილი 18.4 მლრდ ლარი გახდება, დაიგეგმა ხარჯების ზრდაც 222.0 მლნ ლარით.

კოვიდ 19-თან დაკავშირებული ხარჯებისთვის მიმდინარე წლის ბიუჯეტში გამოიყო 400 მლნ ლარი, აღნიშნული თანხა განერილია დაავადებული პირების მკურნალობის, ტესტირების ჩატარებისა და ვაქცინის შესყიდვისთვის, აგრეთვე კოვიდ 19-ით პროვოცირებული სიტუაციის მიზნით, მოსახლეობას დახმარებისათვის სულ 300.0 მლნ ლარი გამოეყო. 2021 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში 200 ლარის ოდენობის დახმარება გამოეყო ყველა იმ ფიზიკურ პირს, რომელმაც დაკარგა ანაზღაურებადი სამსახური, ხოლო დამატებით ყოველთვიურად 100 ლარი გამოეყო სოციალურად დაუცველი ოჯახებს, აგრეთვე, სამ ან მეტ შვილიან ოჯახებს ყოველთვიურად - 100 ლარი.

2021 წლის პირველ ორ თვეში კომუნალური გადასახდელების დაფინანსებას მიიღებენ ის ფიზიკური პირები, რომლებიც მოექცევიან იმ ჩარჩოებში, რომელთა დაფინანსებას გულისხმობს ბიუჯეტი, რაც შეეხება 2021 წლის ბიუჯეტის დეფიციტს, წინასწარი გათვლებით იგი დაახლოებით 400.1 მლნ ლარი იქნება, ეს მაჩვენებელი საპროგნოზო მშპ-ის დაახლოებით 8 %-ია, ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრა იგეგმება 2.5 მლრდ ლარის ოდენობის ახალი ვალის აღებითა და 1.6 ლარის გასული წლის საბიუჯეტო ნაშთის საშუალებით. 2021 წელს მთავრობა მთლიანობაში 5.3 მლრდ ლარის აღებასა და 2,8 მლრდ ლარის ოდენობის

ვალის დაფარვას გეგმავს. მიმდინარე წელს მთავრობის მიერ არ არის დაგეგმილი საშინაო ვალის აღება.

როგორც უკვე აღინიშნა, 2021 წლის იანვარი მძიმე ეკონომიკური ტენდენციებით დაიწყო და რეალურმა ეკონომიკურმა კლებამ 11,5 % შეადგინა, ეკონომიკური პარამეტრები რადიკალურად შეიცვალა 2021 წლის აპრილიდან, საგრძნობლად გაიზარდა ექსპორტ-იმპორტის, დღგ-ის და სხვა ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით. მიმდინარე წლის ივლისში განახლდა მაკროეკონომიკური პროგნოზები და განხორციელდა ცვლილებები 2021 წლის ბიუჯეტში, განახლებული პროგნოზების საბაზისო სცენარების მიხედვით:

- ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 4.3 პროცენტიდან გაიზარდა 7,7 პროცენტამდე;
- მშპ-ის დეფლატორი 3,8 %-ის ნაცვლად განისაზღვრა 7,5 %-ის ოდენობით;
- მშპ-ის მინიმალური მაჩვენებელი 53,4 მლრდ ლარიდან გაიზარდა 57,2 მლრდ ლარამდე;
- ბიუჯეტის დეფიციტი 7,6 %-დან შემცირდა 6,9 %-მდე;
- მთავრობის ვალის მაჩვენებელი შემცირდა 68 %-დან 54,6 %-მდე;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კიდევ უფრო გაიზარდა 2021 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი და 9,5 % შეადგინა, გაიზარდა ნომინალური მშპ და ნაცვლად ივლისში პროგნოზირებული 57,2 მლრდ ლარისა 58,4 მლრდ ლარი შეადგინა.

ინფლაცია, როგორც მთავრი პრობლემა, მძიმე ტვირთად აწევს მოსახლეობას, რაც განპირობებულია, გაზრდილი ფულის მასით ეკონომიკაში, განვლილ პერიოდში გაუფასურებული ლარით, ექსპორტ-იმპორტში შექმნილი მძიმე მდგომარეობით, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების ზრდით და სხვა მრავალი ფაქტორით, ყოველივე აღნიშნული კი, ძირითადად გამომდინარეობს არასათანადო მონეტარული პოლიტიკის გატარებით, როგორც ანალიზიდან ირკვევა მონეტარული პოლიტიკის გატარება ეროვნულმა ბანკმა დააგვიანა, გაზრდილ ფულის მასაზე ცენტრალური ბანკის მანდატის გაზრდის მიუხედავად, სათანადო კონტროლი ვერ განხორციელდა ინფლაციაზე, რაც მძიმედ აისახა ფასების სტაბილურობაზე, ვინაიდან, მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება დაბალი დეფიციტით მუშაობას ნიშნავს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მშპ-ის 7.5 %-იანი ზრდა შეტანილია 2021 წლის ბოლომდე ცვლილებებში, შესაბამისად, ამ წელიწადში უნდა დაიხარჯოს 19.5 მლრდ ლარი, რამაც უნდა მოგვცეს წლიური მაჩვენებლების შესრულება, აგრეთვე დეფიციტის და საგარეო ვალის შემცირება. საქართველოს გადაუდებელ ამოცანად სახელმწიფო ვალის მიმდინარე წელს 1.4 მლრდ ლარით შემცირება წარმოადგენს, ასეთ ვითარებაში შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსასვლელად საქართველოს მთავრობამ გადადგა დროული ნაბიჯი სახელმწიფო ბიუჯეტში სათანადო ცვლილებების გასატარებლად, კერძოდ 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები სამი ძირითადი მიზნის მისაღწევად იქნა განხორციელებული:

- ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება;
- ეკონომიკური აღდგენის ხელშეწყობა;
- პანდემიის მართვისთვის დასაფარი ხარჯების დაფინანსება.
- საგულისხმოა, რომ საქართველოს პარლამენტმა განიხილა 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილებები სადაც აღინიშნა, რომ შეიმჩნევა ეკონომიკის სწრაფი აღდგენა, შედეგად მოსალოდნელია 7.7 %-იანი ეკონომიკური ზრდა, რასაც თან უნდა მოჰყვეს დამატებითი შემოსავლები. მიმდინარე წლის ბიუჯეტში დამტკიცებული ცვლილებები ორიენტირებულია სამი ძირითადი მიზნის მისაღწევად:
- საბიუჯეტო დეფიციტის შემცირება, რაც აუცილებელია გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის;
- ეკონომიკური მდგომარეობის აღდგენის ფისკალური ხელშეწყობა, რაც გამოიხატება ინფრასტრუქტურული პროექტების, სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი და ეკონომიკის მწარმოებლური სექტორების პროგრამების ზრდაში;

- ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების - პანდემიიდან გამომდინარე, ჯანდაცვის ხარჯების დაფინანსება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს მთავრობა ბოლო წლებია აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და დონორებთან, ქვეყნის განვითარებისთვის საჭირო რეფორმებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად საჭირო ფინანსური რესურსების მოსაზიდად, მათ მიერ გამოყოფილი მხარდაჭერის შედეგად ქვეყანაში განხორციელდა არაერთი სტრუქტურული რეფორმა - საქართველოს მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდებსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში არსებული პროგრამებით ქვეყანამ ჯამში მოიზიდა 2 მლრდზე მეტი აშშ დოლარის დახმარება, რამაც მაკროეკონომიკური სტაბილურობა მოუტანა ქვეყანას, მათი დაფინანსებით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი დაიგეგმა და განხორციელდა.

როგორც ცნობილია, 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შედეგად უკვე შემცირებულია შიდა ვალის წილი, ამავე წელს დაიფარება 150 მლნ ლარის ოდენობის შიდა ვალი. დამატებითი შემოსავლები იძლევა საშუალებას 2021 წელს ნაწილობრივ შემცირდეს საგარეო ვალის აღებაც, თუმცა მომდევნო წლებში კვლავ გაგრძელდება აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან და ფინანსური რესურსების მოზიდვა ქვეყნის და ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად, შესაბამისად, ყველა სახის განცხადება საქართველოს პარტნიორებთან თანამშრომლობის შეწყვეტაზე და მით უფრო რეფორმების შეჩერებაზე უადგილოა.

როგორც მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზიდან ირკვევა მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ უმძიმესი გლობალური კრიზისის შემდგომ საკრედიტო რეიტინგის გაუარესების გარეშე შეძლო ეკონომიკის აღდგენის ფაზაში გადასვლა, სარეიტინგო სააგენტოს „SEP GLOBAL“-მა პროგნოზით მიმდინარე წელს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა 7.5 % განისაზღვრა.

ამ ეტაპისათვის არსებული პროგნოზების მიხედვით, 2022 წლისთვის მოსალოდნელია მშპ-ის რეალური ზრდა 6,0 %-ით, ხოლო მომდევნო წლებიც საშუალოდ 5,5 %-ის ფარგლებში.

2022 წლის განახლებული პროგნოზის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოსახულებაში 15,2 მლნ ლარი იქნება, 2021 წლის გეგმიური მაჩვენებლებთან შედარებით 2022 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 2,3 მლრდ ლარით (17,6 %-ით).

მშპ-სთან მიმართებით 2022 წელს საგადასახადო შემოსავლები 23,5 %-ს შეადგენს და იგივე ნიშნულზეა შენარჩუნებული მომდევნო წლებშიც.

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში წარმოდგენილი საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადის სახეების მიხედვით:

- საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4,6 მლრდ ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის წილი შეადგენს 4,1 მლრდ ლარს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების წილი 340,2 მლნ ლარია. 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებლებთან შედარებით საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი 2022 წელს გაზრდილია 25,2 %-ით (926,7 მლნ ლარით), რაც ძირითადად მომწვეულია მიმდინარე წელს არსებული საგადასახადო შეღავათების დასრულების ფისკალური ეფექტებით;
- მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4,1 მლრდ ლარით, 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი გაზრდილია 42,9 %-ით (408,2 მლნ ლარით);
- მიმდინარე წელს საფინანსო სექტორში მოგების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, რაც 2022 წელს მოგების ზრდის საფუძველია;
- დღგ-ს საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 6,7 მლრდ ლარით, მათ შორის, სა-

ხელმწიფო ბიუჯეტის წილი შეადგენს 5,4 მლრდ ლარს, ხოლო მუნიციპალიტეტების წილი 1,3 მლრდ ლარს;

- დღგ 2021 წელთან შედარებით იზრდება 143,8 მლნ ლარით, 2021 წელთან შედარებით 2022 წლის პროგნოზით დღგ გაზდილია 12,9 %-ით (746,9 მლნ ლარით), რაც ეკონომიკური ზრდის ფისკალური ეფექტის ხარჯზეა ძირითადად;
- აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი გაიზარდა 1.8 მლრდ ლარით, რაც 76,9 მლნ ლარით მეტია 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელზე;
- იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელია 84,1 მლნ ლარი, რაც 4,1 მლნ ლარით მეტია 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელზე;
- ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 524,2 მლნ ლარით, რაც 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით, 10,4 %-ით (49,4 მლნ ლარით იზრდება);
- სხვა გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 189,4 მლნ ლარით, რაც 49,4 მლნ ლარით აღემატება 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელს.

2022 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 პუნქტით დადგენილი ზღვარის მიღმა - 2,8 მლრდ ლარი, რაც პროგნოზირებული მშპ-ს 4,3 % -ს შეადგენს, (დადგენილი ზღვარი მშპ-ს 3 %-ია).

2022 წლის ბოლოსათვის საქ. მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა მშპ-ის 52,1 %-ით განისაზღვრა.

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა დღგ-ს 19 %-ის (1.3 მლრდ ლარი) მუნიციპალიტეტებზე გადანაწილების გაანგარიშების საკითხს, აღნიშნული გაანგარიშებით, მუნიციპალიტეტებს შორის თბილისს გამოეყო დღგ-ს 43.2 % (543.1 მლნ ლარი), ბათუმს - 3.75 % (47.0 მლნ ლარი), ქუთაისს - 3.48 % (43.7 მლნ ლარი), ყაზბეგის მუნიციპალიტეტს - 0,01 % (149.0 ათ. ლარი) და აშ. ვფიქრობთ, აღნიშნული გაანგარიშება საჭიროებს ანალიზს და მეტ გამჭვირვალობას.

2022 წლის ბიუჯეტის პროექტში ასევე ყურადღება იქცევს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები და პრიორიტეტები, კერძოდ:

- ეკონომიკის სტაბილიზაცია და მომდევნო ეტაპზე ეკონომიკის მდგრადი და მაღალი ტემპით ზრდა;
- საშუალო ვადიან პერიოდში ინფლაციის დონის მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნება;
- უმუშევრობის დონის შემცირება;
- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება.

მიმდინარე წლის ბიუჯეტის ანალიზიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პანდემიის ფონზე ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრები არასაკმარისია, ამ მიზნით უპირველესი რეკომენდაციაა, რაც შეიძლება ზუსტად განისაზღვროს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისათვის გამოსაყოფი სახსრების ოდენობა და მის ხარჯვაზე დაწესდეს განსაკუთრებული კონტროლი, მთავრობამ კი, საჭიროა მიიღოს გადამჭრელი ზომები ვაქცინაციის ტემპის დასაჩქარებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ ეკონომიკური ზრდის შემცირებას 7.7 %-დან 5.5 % - მდე, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის დამატებით დაახლოებით 1.5 მლრდ ლარის ოდენობის ზარალის მომტანი იქნება.

ლიტერატურა:

1. ანანიაშვილი ი., პაპავა ვ., გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება. თბილისი: გამომცემლობა „სიახლე“, 2009.
2. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ., საგადასახადო საქმე. თბილისი, 2007.

3. კოპალეიშვილი თ., ჩიკვილაძე მ., გადასახადები და დაბეგვრა. თბილისი, 2011.
4. ჭიბუტი ა., კაკულია რ., ბახტაძე რ., საჯარო ფინანსები. თბილისი, 2007.
5. პაპავა ვ., არატრადიციული ეკონომიკის: მეთოდოლოგია და მეთოდის. თბილისი, თსუ 2020.
6. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო <https://mof.ge>, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი.
7. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მასალები, საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.
8. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი. 2010.
9. Chikviladze, M. (2018) The Share in Percentage of Taxes in GDP. Ecoforum Journal. Volume 7, Issue 1 (14).
10. Atanelishvili, T., Chikviladze, M., Silagadze, N. (2017). About State Financial Control. Ecoforum Journal. Volume 6, Issue 1 (10).
11. Bedianashvili, G (2017) Benchmarking ASL research method for obtaining system knowledge of the state institutional development. J. information models and analyses volume 6, number 1. pp. 84-89
12. Gaganidze, G (2018), foreign trade of Georgia, Moldova and Ukraine with the European union after signing the Association agreement, Ecoforum journal, 7, issue 1 (14).
13. Kopaleishvili, T., Chikviladze, M. (2011). Taxes and Taxation. Tbilisi.
14. Silagadze, A., Atanelishvili, T., Silagadze, N. (2019). Economic Doctrines: The Origins. Published by Nova Science Publishers, Inc. New York.
15. Silagadze, A., Zuniashvili, T. (2016). Georgia`s Economy against the Background of the Associate Agreement with the European Union. International Journal of Business and Management Studies, 59, 2: 533-540. (USA).
16. Zubiashvili, T., Chikviladze, M., Silagadze, N. (2018). Some Aspects of state External Debt. Ecoforum Journal 7 (2).

Covid 19 - Fiscal Policy Objectives and Priorities

Mikheil Chikviladze

Academic Doctor, Associate Professor at TSU Faculty of Economics and Business

Despite easing the economic impact of the Covid-19 pandemic, the Georgian government has implemented multilateral fiscal assistance measures, the lari exchange rate, inflation, declining investment and rising domestic debt have led to economic downturns and exacerbated lari inflation problems. The positive trends in the sectors have stopped altogether. Due to the mentioned problems, Sak. The government should set specific measures, the proper funding of which should be reflected in the draft state budget for 2022.

Keywords: budget, pandemic, taxes, inflation, investment.